ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 29.08.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ლაშა მკურნალიძე - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;

მაია მაღლაკელიძე - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი;

თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) პროგრამის კოორდინატორი; (სხდომის მდივანი)

თამარ მოსიაშვილი - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი;

პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი;

თინათინ ცერცვაძე - დებატებისა და განათლების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი;

ზვიად მიმინოშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. გიორგი მელაძე - შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლის დირექტორი;
2. ვახტანგ მეგრელიშვილი - შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლის წარმომადგენელი;
3. ომარ მიქელაძე - შპს - „თაობა XXI"-ის დირექტორი;
4. ქეთევან დოჩანაშვილი - შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის დირექტორი;
5. თამარ ხარძიანი - შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის წარმომადგენელი;
6. მიხეილ ტეფნაძე - შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ის წარმომადგენელი;
7. მანანა ასათიანი - შპს - ალბიონის დირექტორი;
8. მათე კიკალიშვილი - შპს - რეზონანსი-საქართველოს დირექტორი;

9. ჯამბულ ნაჭყებია - შპს - რეზონანსი-საქართველოს წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნანა ბარნაბიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
პაატა ჩორგოლაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის არყოფნის გამოს, სხდომას უძღვებოდა თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მკურნალიძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:10 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა თამარ ბრეგვაძეს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - თაობა XXI-ისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ალბიონის (ს/კ: №200072152) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - რეზონანსი-საქართველოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - ნიუტონის თავისუფალ სკოლაში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის თავჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 7 აგვისტოს №254 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი: ქეთევან ბოტკოველი (თავმჯდომარე) და ნოდარ ანგურიძე (ჯგუფის წევრი) მივლენილ იქნენ ქ. თბილისში, შპს - ნიუტონის თავისუფალ სკოლაში, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობისა და მატერიელური რესურსის შემოწმების მიზნით.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

ა) შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს შენობას და ნაკვეთს თბილისში ნუცუბიძის ფერდობი, I მიკრო რაიონი, ნაკვეთი 07/173. ნაკვეთის ფართობია 9505,00 კვ.მ. და მასზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 7166 კვ.მ.; რომლის ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი 01.14.01.007.214;

ბ) ვიზუალური დათვალიერებით, იჯარის ხელშეკრულებით 69 საკლასო ოთახში და საწყობში დაფიქსირდა 1541 ერთადგილიანი მერხი და 50 ორ და სამადგილიანი მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამებით. გარდა ამისა, სკოლას შესყიდვის დოკუმენტაციის თანახმად, 2013 წლის 20 აგვისტომდე მისაღები აქვს 500 ერთეული მერხი და სკამი. სკოლას შესრულებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები (გადახდილი აქვს თანხა სრულად);

გ) სკოლა ფლობს 158 კომპიუტერს, მათგან 125 განთავსებულია ორ კომპიუტერულ კლასში;

დ) შენობის ხუთივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის და შენობის პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის;

ე) შენობის სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია ლიფტითაც, რომელიც ასევე ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებისთვის;

ვ) სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია 941 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო; ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. წიგნების გატანა რეგისტრირდება მოსწავლის ელექტრონული ბარათით.

სკოლას ასევე აქვს გაფორმებული მემორანდუმი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რომლის მხარეებიც კისრულობენ ვალდებულებას საკუთარი საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპებზე წარმართონ;

ზ) სკოლის ლაბორატორიები შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტთან. სკოლას ასევე დადებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერიტეტთან ლაბორატორიებით სარგებლობის შესახებ;

თ) სკოლის შენობაში განთავსებულია 25 შიდა და 9 გარე კამერა. გარე კამერებიდან 4 აკმაყოფილებს შესაბამისი ბრძანების მოთხოვნებს;

ი) სკოლას აქვს 83კვ.მ. სპორტული დარბაზი. ამასთან, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშკრულებები ა(ა)იპ - №35-ე საფეხბურთო კლუბთან და მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სპორტული მოედნით სარგებლობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება ქალაქის მერიასთან;

კ) სკოლას გააჩნია სასადილო, რომელიც შეიძლება ერთდროულად მოემსახუროს 200 მოსწავლეს.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 65 პედაგოგთან, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში გრძელდებოდა მასწავლებელთა შერჩევის პროცესი. ხელშეკრულებები გაფორმებულია, ასევე, სკოლის დირექციასა და ტექ. პერსონალთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

შპს „ნიუტონის თავისუფალმა სკოლამ" ახლიდან გაიაზრა სკოლის მისია და შეიტანა მასში ცვლილებები. შესაბამისად, მოხდა ახალი პროგრამების და თემატური გეგმების შექმნა და ახალი გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის. მათ შორის: პრაქტიკული მუსიკის კურსი - „მუსიკა და მისი ფენომენი"; „ხალხური სიმღერების შემსწავლელი სტუდია"; „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი"; მათემეტიკის გაძლიერებული სასწავლო პროგრამა „გალუას კლუბი". სკოლა ასევე, გეგმავს მოსწავლეებს დამატებით შესთავაზოს სხვადასხვა უცხო ენების შესწავლა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსი, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, წესდება, ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები, კვირეული დატვირთვა, შეფასების სისტემა, სადამრიგებლო პროგრამა, სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-ჩარჩო და ა.შ. გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და სრულ შესაბამისობასია სკოლის მისიასთან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სპორტული მოედნით სარგებლობასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიასთან მიმდინარე მოლაპარაკებები უკვე დასრულებული იყო, შესაბამისად, დასრულდა რეგისტრაციის პროცესი და დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას განმარტება მერხების თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად შესრულდა და სკოლას უკვე გაფორმებული ჰქონდა მიღება-ჩაბარების აქტი.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას განმარტება მასწავლებლების რაოდენობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში, ამჟამად, სასწავლო პროცესს უზრუნველყოფდა 71 პედაგოგი, რაც სავსებით საკმარისი იყო სკოლის გამართული ფუნქციონირებისათვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, დაწესებულება აგრძელებდა მასწავლებელთა მიღების პროცესს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, დაადასტურა, რომ სკოლაში არსებული პედაგოგთა რაოდენობა აკმაყოფილებდა სასწავლო კურსის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი, დაინტერესდა არსებობდა თუ არა სკოლაში ყველა საგნის სასწავლო პროგრამა ყველა კლასისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სკოლას გააჩნდა ყველა კლასისა და საგნისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამა, რაც ასევე, დაადასტურა ექსპერტმა.

საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი, დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ უცხო ენა ერთად ესწავლა მაგ.: მე-5 და მე-7 კლასელ მოსწავლეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მაგ. ისეთი უცხო ენა, როგორიცაა კორეული ან იაპონური ენები, იყო არჩევითი. ამასთან, პედაგოგებს გაფორმებული ჰქონდათ პირობითი ხელშეკრულებები, იმ დათქმით, რომ კონკრეტული სასწავლო კურსი შედგებოდა.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იმის გათვალისწინებით, რომ კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნის პარალელურად, დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ შეიცვალა დაწესებულების მისია, ხომ არ მომხდარა სკოლის ძირითადი მიმართულებების არსებითად მოდიფიცირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონკრეტული იურიდიული პირის მიერ განხორციელდა აქამდე არსებული სკოლის შესყიდვა, რომლის კონტიგენტი განსაზღვრული იყო 62 მოსწავლით. დაწესებულებას გაუჩნდა მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნილება და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაესაბუთებინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, რეალურად, სახეზე იყო კონტიგენტის გაზრდის და არა - ახალი ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგან ამოსავალი წერტილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმა, მისიის ახლებური ფორმულირების მიუხედავად შინაარსი არ შეცვლილა. ორივე სკოლა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ამასთან, კონკრეტული იურიდიული პირის შერჩევის და შეძენის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო ორი სკოლის მიზნების სიახლოვე და თავსებადობა. მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულებას სურდა არა ახალი ავტორიზაცია, არამედ მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ კონტიგენტის გაზრდის დროს ექსპერტთა ჯგუფის მოვალეობაში არ შედის საგანმანათლებლო პროგრამების თავიდან შემოწმება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გამო, შეამოწმა ყველა პროგრამა. ექსპერტმა

ასევე აღნიშნა, რომ არსებული ცვლილებების გათვალისწინებით მოქმედი პროგრამები შეესაბამებოდა სტანდარტს.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი იმ ფაქტს, რომ ყველა საგნობრივი პროგრამა შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, დაადასტურა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით სტანდარტის სრულად დაკმაყოფილების ფაქტი.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ მოხდებოდა კომპიუტერების გამოყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 125 კომპიუტერი გადანაწილებული იყო ორ კომპიუტერულ კლასში. ამასთან, განვითარების ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებული იყო დაწესებულების სურვილი, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონოდა საკუთარი პლანშეტური კომპიუტერი, რომლითაც მოხდებოდა მისი ინტეგრაცია სასწავლო პროცესთან; მოსწავლეებს კი, დამატებით გამოუმუშავდებოდათ კომპიუტერული უნარ-ჩვევები.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, თუ რას გულისხმობდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მემორანდუმი იყო საკმაოდ ფართო და გულისხმობდა ერთობლივ შემეცნებით პროექტებზე მუშაობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეს ჰქონოდა შეხება ბიბლიოთეკასთან, ეგრძნო იქ არსებული აურა, ხელით შეხებოდა წიგნს და ა.შ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელი სპორტის სახეობა ჰქონდა არჩეული სკოლას და როგორ ხდებოდა 35-ე სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა გადაადგილების უზრუნველყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას სპორტის სახეობებად არჩეული ჰქონდა ფეხბურთი, კალათბურთი და ფარიკაობა; ხოლო გადაადგილება უზრუნველყოფილი იყო სკოლის ტრანსპორტით. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მფლობელობაში ჰქონდა სტადიონი და გეგმავდა საკუთარი დარბაზის აშენებასაც.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ უსაფრთხოების კამერები აკმაყოფილებდა სტანდარტს.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, განმარტა, რომ სკოლას გააჩნდა 25 შიდა და 9 გარე კამერა, ამასთან, მოცემული 9 კამერიდან 4 სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტით განსაზღვრულ პარამეტრებთან. სკოლას ჰქონდა ორი შესასვლელი და თითოეულ შესასვლელში დამონტაჟებული იყო 2-2 სტანდარტის შესაბამისი კამერა, შესაბამისად, სკოლა სრულად აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, დაახლოებით რამდენი მოსწავლის განთავსება იქნებოდა შესაძლებელი ერთ საკლასო ოთახში. საბჭოს წევრმა, აქვე მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლის ყოლის უფლება ჰქონდა ამ ეტაპზე დაწესებულებას და რამდენი მოსწავლით სურდა მას კონტიგენტის გაზრდა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ საკლასო ოთახები იყო ნათელი და დიდი, მასში შესაძლებელი იქნებოდა საშუალოდ 25 მოსწავლის, ხოლო რამოდენიმე საკლასო ოთახში, ასევე, 30 მოსწავლის განთავსება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას, ამ ეტაპზე, ჰქონდა 62 მოსწავლის მიღების უფლება, თუმცა მისი სურვილი იყო მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 1538-ით გაზრდა, შესაბამისად, კონტიგენტის განსაზღვრა 1600 მოსწავლით.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როდის გაფორმდა შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულება და რა ვადით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 2013 წელს, 7 წლის ვადით.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თხოვნით, რომ ყველა ახალი პროგრამის, მათ შორის, თემატური გეგმების შესახებ დაწესებულებას მიეწოდებინა ინფორმაცია ცენტრისათვის, რომელსაც, თავის მხრივ, ექნებოდა უფლება გადაემოწმებინა აღნიშნული პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება მოახდენდა ცენტრის ინფორმირებას.

საბჭომ იმსჯელა შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ სკოლას ჰქონდა 1600 მოსწავლის მომსახურებისათვის შესაბამისი რესურსი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნიუტონის თავისუფალი სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ნიუტონის თავისუფალ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600-ით.

2. შპს - თაობა XXI- ისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - თაობა XXI-ში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის წევრმა, ნელი ნასყიდაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2013 წლის 15 და 16 აგვისტოს, ქ. ბათუმში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ კერძო სკოლაში. მისი განცხადებით, ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ამასთან, შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაც და დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში.

ამასთან, სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.

ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, სკოლაში იყო 8 საკლასო ოთახი. აქედან, 4 საკლასო ოთახი განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე, 2 საკლასო ოთახი - მესამე სართულზე, ხოლო დანარჩენი 2 ოთახი - შენობის მეოთხე სართულზე. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო ინდივიდუალური სასწავლო მერხებით, მასწავლებლის მაგიდებით, სკამებით და სხვა აუცილებელი სასწავლო რესურსით. სკოლას გააჩნდა 127 ერთეული ინდივიდუალური მერხი, 8 ერთეული მასწავლებლის მაგიდა და სკამი, 8 ერთეული დაფა. სკოლა ფლობდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობას (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომია), რომელიც განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე, ორ საკლასო ოთახში.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლას ჰქონდა ინფორმატიკის ოთახი, სადაც მოსწავლეთა სარგებლობისათვის განთავსებული იყო 9 კომპიუტერი, ხოლო 1 კომპიუტერი - ადმინისტრაციის სარგებლობაში. მოსწავლეებისთვის განკუთვნილი იყო ინტერნეტით უზრუნველყოფილი 10 კომპიუტერი (9 ინფორმატიკის კაბინეტში და 1 ბიბლიოთეკაში).

ლაშა მკურნალიძემ დააზუსტა, რომელ წელს ჰქონდა მიღებული დაწესებულებას ავტორიზაცია და რა ოდენობაზე ჰქონდა განსაზღვრული სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორის, ომარ მიქაძის, განცხადებით, სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2011 წელს და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 160 მოსწავლით.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, საკვირველი იყო, როდესაც ეროვნული სასწავლო გეგმა მეტ-ნაკლებად მიმართული იყო ერთცვლიან სწავლებაზე, რატომ ახორციელებდა სკოლა სწავლებას ორ ცვლაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მართალია რეკომენდირებული იყო ერთცვლიანი სწავლება, თუმცა აკრძალვა ამის შესახებ არსად ფიქსირდებოდა, ამდენად, ისინი ამით, კანონს არ არღვევდნენ.

ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით, ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა საათობრივი ბადე, სადაც ფიქსირდებოდა ორცვლიანი სწავლებაც, თუმცა იმგვარად იყო შედგენილი, რომ გაკვეთილების დამთხვევა არ ხდებოდა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლას ჰყავდა 153 მოსწავლე. 1-4 კლასების მოსწავლეებს გაკვეთილები უტარდებოდათ მეორე ცვლაში, ხოლო დანარჩენებს - პირველ ცვლაში.

საბჭოს წევრმა, თინათინ ცერცვაძემ, დააზუსტა 1-4 კლასის მოსწავლეები, მხოლოდ, მეორე ცვლის დროს მოდიოდნენ სკოლაში, თუ ჰქონდათ სხვა სახის დატვირთვა დღის განმავლობაში. დირექტორის განცხადებით, მოსწავლეები, მხოლოდ, მეორე ცვლის დროს მოდიოდნენ სკოლაში.

საბჭოს წევრმა, თინათინ ცერცვაძემ, განაცხადა, რომ თუ ერთ მოსწავლეზე საბჭო 4 კვ.მ.-ს იანგარიშებდა, 200 მოსწავლემდე ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ დაწესებულების მოთხოვნა, საფუძველს იქნებოდა მოკლებული, რადგან საკმარისი ფართი არ ჰქონდა სკოლას.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭიღლაძის, განცხადებით, აღნიშნულის შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნა არ არსებობდა. მისი განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს ჰქონდა დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, ერთ მოსწავლეზე საბჭო მინიმუმ 3 კვ.მ. ანგარიშობდა.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, მათ, საბჭოს წინა სხდომაზე აღნიშნული პრაქტიკაც შეცვალეს და უფრო მცირეც გაითვალისწინეს ერთ მოსწავლეზე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად სტაბილური იქნებოდა სკოლაში ორცვლიანი სწავლება.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა 11 წელი იყო, რაც არსებობდა და მსგავსი მიდგომით ასწავლიდა. ამ პერიოდის განმავლობაში მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ.

თამარ ბრეგვაძემ დააზუსტა, მერხები რაოდენობა და ისინი ინდივიდუალური იყო თუ ორადგილიანი.

ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, მერხები იყო ინდივიდუალური.

სკოლის დირექტორის განცხადებით, 1-6 კლასებში, სტანდარტების შესაბამისი დაახლოებით 72 მერხი იყო, ხოლო დანარჩენი რაოდენობა შემდგომი საფეხურების შესაბამისი იყო.

მაია მაღლაკელიძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო ორ ცვლაში სწავლების პრინციპი, კერძოდ, დაწყებითი კლასების მერხებზე ხომ ვერ დასხდებოდნენ ზედა საფეხურის მოსწავლეები.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მეორე ცვლაში თავისუფალი 8 საკლასო ოთახიდან დაკავებული იყო, მხოლოდ - 4, რადგან მეორე ცვლაში სწავლობდნენ 1-4 კლასის მოსწავლეები.

მაია მაღლაკელიძემ განაცხადა, რომ თუ 1-4 კლასი იქნებოდა მეორე ცვლაში, ხოლო ზედა კლასები - პირველ ცვლაში, მისთვის გაუგებარი იყო ასაკობრივი დონის შესაბამისი მერხები განაწილების საკითხი.

თინათინ ცერცვაძემ განაცხადა, რომ მსჯელობიდან ირკვეოდა, რომ დაწყებით კლასებს თავისი საკლასო ოთახი არ გააჩნდა, რასაც დირექტორი არ დაეთანხმა და განმარტა, რომ კლასებს თავიანთი საკლასო ოთახები ჰქონდათ.

თინათინ ცერცვაძემ დააზუსტა, რომ შესაძლებელი იყო თუ არა პარალელური კლასის გაკეთება, რაზეც დირექტორმა განაცხადა, რომ ისინი გეგმავდნენ პარალელური მე-3 კლასის გაკეთებას.

თინათინ ცერცვაძემ განაცხადა, რომ მე-10 კლასელს რომ მიემართა სკოლისათვის, დირექტორს უარის თქმა მოუწევდა მიღებაზე, რადგან სკოლას არ ექნებოდა ამ ასაკობრივი დონის შესაბამისი მატერიალური რესურსი.

ლაშა მკურნალიძემ მიმართა ექსპერტს განემარტა, თუ როგორი ტიპის შენობას ფლობდა სკოლა.

ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, შენობა იყო დაწესებულების ტიპის, რომლის 2-4 სართულებს ფლობდა სკოლა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რომელ სართულზე იყვნენ განთავსებულები დაწყებითი კლასის მოსწავლეები, რაზეც დირექტორმა განაცხადა, რომ 2-3 სართულზე იყო მათი საკლასო ოთახები.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა იყო თუ არა ყველა სართულზე სველი წერილი, რაზეც ნელი ნასყიდაშვილმა განმარტა, რომ ყველა სართულზე იყო სველი წერტილი გოგონებისათვის და ვაჟებისათვის. ამასთან, სკოლას კიდევ ჰქონდა სველი წერტილი მასწავლებლებისათვის.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რას ნიშნავდა დაწესებულების ვებგვერდზე გაკეთებული განაცხადი, რომლის თანახმადაც, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი კონკრეტული საგნების პედაგოგების ასაყვანად.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მათ აღნიშნულ საგნებში ჰყავდათ პედაგოგები, თუმცა ეძებდნენ დამატებით ახალ კადრებს, რადგან საათობრივი დატვირთვის გაზრდას გეგმავდნენ.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, დაახლოებით რამდენ მოწავლეზე იყო გათვლილი საკლასო ოთახები და ჰქონდა თუ არა სკოლას შიდა დოკუმენტით დარეგულირებული კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის ყოლის შესაძლებლობა.

ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, კლასებში დაახლოებით 15-17 მერხი იყო განთავსებული და დასძინა, რომ სკოლის შიდა დოკუმენტაცია მსგავს შეზღუდვას არ ითვალსიწინებდა.

პავლე თვალიაშვილის განცხადებით, მისთვის წარმოუდგენელი იყო, თუ როგორ მოახერებდა სკოლა ამ რაოდენობის მოსწავლეების ორ ცვლაში სწავლებას.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, საბჭოს არ შეეძლო შუალედური გადაწყვეტილების მიღება. მისი განცხადებით, საბჭოს აუცილებლად უნდა ემსჯელა, რადგან აღნიშნული შემთხვევა პრეცენდენტი გახდებოდა, ამდენად, საბჭოზე გამოცხადდა შესვენება.

20 საათსა და 12 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20 საათსა და 22 წუთზე.

ლაშა მკურნალიძს განცხადებით, დადგენილი იყო რეკომენდაციები ასაკობრივი დონის შესაბამისი მერხების მონაცემების შესახებ, რაზე დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას გააჩნდა შესაბამისი სტანდარტის მერხები.

ზვიად მიმინოშვილმა განუმარტა სკოლის დირექტორს, რომ იმ რეკომენდაციებით, 1-2 კლასის მოსწავლეებისათვის საჭირო მერხებს, კიდევ დამატებითი სხვა მოთხოვნები ჰქონდა, რომელსაც ფიზიკურად ვერ გამოიყენებდა სხვა კლასის მოსწავლე.

საბჭოს წევრების განმარტებით, სკოლას უნდა ჰქონოდა შესაბამისი რაოდენობისა და ასაკობრივი დონის შესაბამისი მერხები.

საბჭომ იმსჯელა შპს - „თაობა XXI"- ის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ სკოლას არ ჰქონდა 200 მოსწავლის მომსახურებისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „თაობა XXI"- ის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - თაობა-XXI-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245438432) უარი ეთქვას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

3. შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულ სკოლაში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის წევრმა, ნელი ნასყიდაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2013 წლის 12 და 13 აგვისტოს, ქ. თბილისში, განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი შპს - გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლაში. მისი განმარტებით, ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები, ამ პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. ამასთან, შეფასდა დაწესებულების მიერ სამივე სტანდარტის მოთხოვნების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, ხარვეზები დაფიქსირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ:

1) სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას სავალდებულო სახით შემდეგ დისციპლინებში:

- კითხვის საათი: II - IX კლასებში
- სასცენო ხელოვნება: II – VI კლასებში
- განმავითარებელი მათემატიკა: II - VI კლასებში
- სადამრიგებლო საათი: II - VIII კლასებში.

2) სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას არასავალდებულო (ფაკულტატური) სახით ცეკვასა და ფეხბურთში.

3) სკოლა ახორციელებს არჩევითი საგნების სწავლებას, კერძოდ, ასწავლის თეატრალურ ხელოვნებას, კინოხელოვნებას, კომპიუტერულ მეცნიერებებს.

ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, ვიზიტისას, სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი ზემოაღნიშნულის სასწავლო პროგრამა, შესაბამისად, გაურკვეველია მათი მიზნობრიობა (რა ცოდნის მიცემა, რა უნარების და დამოკიდებულებების განვითარების ხელშეწყობა მოიაზრება), სასწავლო მასალის ჩამონათვალი (თემატიკა), სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების პრინციპები და საჭირო საგანმანათლებლო რესურსები.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საათობრივ ბადეში მითითებული იყო განმარტება, „არჩევითი საგანი გულისხმობს იმ არჩევით საგნებს, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. საათობრივ ბადეში კონკრეტული საგანი მიეთითება მოსწავლეების მიერ ამ საგნის არჩევის შემდეგ", რასაც, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმებოდა, თუმცა, ამ შემთხვევაში სკოლას უნდა ჰქონოდა იმ არჩევითი საგნის პროგრამები, რომელთა შეთავაზებასაც აპირებდა მოსწავლეებისათვის, რისთვისაც სკოლას ესაჭიროება, როგორც მატერიალური, ასევე - ადამიანური რესურსი. ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით, სკოლის მიერ პროგრამები არ იქნა წარმოდგენილი.

თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ როდის განხორციელდა დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით ვიზიტი იყო 2013 წლის 12 და 13 აგვისტოს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რატომ არ იქნა წარდგენილი ექსპერტებისათვის კონკრეტული საგნების პროგრამები.

შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მათ ჰქონდათ პროგრამები, თუმცა აღნიშნულ პროგრამებს არ ჰქონდა მიცემული სათანადო ფორმა, რის გამოც, პროგრამების ქონა დაწესებულებას არ დაუდასტურდა. ამასთან, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას შეეძლოს საბჭოს სხდომაზე წარმოედგინა დასახელებული პროგრამები საჭირო ფორმით.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით, საუბარი იყო არა არასათანადო ფორმაზე, არამედ პროგრამის არარსებობაზე, რადგან დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისათვის პროგრამები არანაირი ფორმით არ წარუდგენია.

თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების მისიის შესახებ ინფორმაციით. კერძოდ, მისი განცხადებით, დაწესებულების ვებგვერდზე და დასკვნაში მოცემული იყო სხვადასხვა მისია და მისთვის გაუგებარი იყო, თუ რომელი მისია იყო რეალურად მოქმედი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვებგვერდის დომეინი იყო შეცვლილი, ხოლო ინფორმაცია დროის სიმცირის გამო არ იყო განახლებული, რასაც დაწესებულება უახლოეს მომავალში გამოასწორებდა.

თავმჯდომარე დაინტერედა, თუ როდის მოხდა დომეინის შეცვლა, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ცვლილება განხორციელდა ზამთრის პერიოდში.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ ვერ მოხერხდა ახალ დომეინზე, დაახლოებით, 9 თვის განმავლობაში მისიის შეცვლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძველი და ახალი მისია ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული არ იყო.

თავმჯდომარე არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ საუბარი იყო აბსოლუტურად განსხვავებულ მისიებზე, ამასთან, ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო სხვა მისია, ხოლო დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული იყო განსხვავებული მისია.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, განაცხადა, რომ შესაძლებელია ვებგვერდზე განთავსებული მისია იყო მოძველებული, შესაბამისად, საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მსგავსი მოსაზრების თანახმად, საბჭოს არ უნდა მიექცია ყურადღება ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისათვის, თუმცა ასეთ შემთხვევაში, საკითხავია, რამდენად ასრულებდა ვებგვერდი საკუთარ ფუნქციას და რა ინფორმაციისადმი უნდა ჰქონოდა ნდობა მაგალითად, მშობელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მშობელთა ინფორმირებისათვის უფრო აქტიურად გამოიყენებოდა ფეისბუქის გვერდი.

საბჭოს წევრმა, თინათინ ცერცვაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, როგორ მოხდა, რომ სკოლა აქამდე ახორციელებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაბამისად, მას მიღებული ჰქონდა ამ პროგრამების განხორციელების უფლება, თუმცა ხარვეზს, სწორედ, ამ პროგრამების არარსებობა წარმოადგენდა.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით მას არ ჰქონდა ინფორმაცია განვლილი პერიოდის შესახებ. მოცემულობა იყო ის, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ახლა განხორციელდა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების ყველა სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან მიმართებაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირდა შესაბამისი შენიშვნები.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, აღნიშნა, რომ მისი აზრით აქ საუბარი იყო არჩევით საგნებზე, მაღალი კლასებისთვის.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით შენიშვნები შეეხებოდა, როგორც დაწყებით ისე, მაღალი კლასებისათვის განკუთვნილ საგნებს. კერძოდ, რიგ დისციპლინებში სკოლა ახორციელებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას სავალდებულო სახით; ცეკვასა და ფეხბურთში სკოლა ახორციელებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას არასავალდებულო (ფაკულტატური) სახით; არჩევითი საგნების სახით კი, სკოლა ახორციელებდა თეატრალური ხელოვნების, კინოხელოვნებისა და კომპიუტერული მეცნიერებების სწავლებას. ამასთან, სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი სასწავლო პროგრამა. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ მას მითითებული ჰქონდა ამონარიდი დაწესებულების საათობრივი ბადიდან, რომელსაც ეთანხმებოდა, თუმცა პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ არ არსებობდა შესაბამისი პროგრამები.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, რათა მას დაეზუსტებინა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს არც ერთი დასახელებული სასწავლო პროგრამა არ იქნა წარმოდგენილი სკოლის მიერ, არანაირი ფორმით. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, დაადასტურა, ზემოაღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და აღნიშნა, რომ პროგრამები უკვე დასრულებული იყო და მას შეეძლო საბჭოსათვის აღნიშნული პროგრამები გადაეცა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ საბჭო მოქმედი რეგულაციის თანახმად, ხელმძღვანელობდა ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით, ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამებს საბჭოს წევრები, საბჭოს სხდომის ფორმატში, ვერ შეამოწმებდნენ.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვნით, რომ პირადი ინტერესის მიზნით გადაეხედა წარმოდგენილი პროგრამებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზვიად მიმინოშვილს გადასცა პროგრამები და განაცხადა, რომ ექსპერტთა განმარტებით მას შეეძლო პროგრამები საბჭოს სხდომაზე წარმოედგინა.

საბჭოს წევრმა, თინათინ ცერცვაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, როდის მოხდა დაწესებულების ინფორმირება ხარვეზებთან დაკავშირებით და ხომ არ ყოფილა რაიმე ტიპის მოლაპარაკება ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის პირველივე დღეს იგი, როგორც წესი, ამოწმებს პროგრამებს საათობრივი ბადის მიხედვით. შესაბამისად, მან დაწესებულებას პირველივე დღეს სთხოვა პროგრამების წარმოდგენა, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განუცხადა, რომ პროგრამებს მეორე დღისთვის მიაწვდიდნენ, თუმცა პროგრამების წარმოდგენა არც მეორე დღეს მომხდარა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან საქმე ეხებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებს, მის მიერ ასევე მოთხოვნილ იქნა მასწავლებლებთან გასაუბრება, რათა დარწმუნებულიყო მათ კომპეტენციაში, თუმცა მასთან გასაუბრებაზე არ მივიდა არც ერთი მასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინტერვიუირების განუხორციელებლობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზაფხულის პერიოდში მასწავლებლები შვებულებაში იყვნენ.

საბჭოს წევრის, თინათინ ცერცვაძის, შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ იგი მოქმედებდა მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისად, ვიზიტის დროს, მან მოითხოვა პროგრამების წარმოდგენა, ვიზიტის დასრულების შემდეგ კი, დაწესებულებასთან კომუნიკაცია, ხარვეზის გამოსწორება/არგამოსწორების საკითხის გარკვევა, თუ ხალეხალი შემოწმება, არ შედიოდა მის კომპეტენციაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს იყო ქცევის ზოგადი სტანდარტი და არ ნიშნავდა არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას; ამის საპირისპიროდ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არსებობდა სხვა შენიშვნებიც, ნაკლები მნიშვნელობის გამო მათზე ექსპერტები ყურადღებას არ ამახვილებდნენ.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, მასწავლებელთა პირადი საქმის შემოწმების დროს, ხომ არ გაჩენილა რაიმე ეჭვი, რომ ისინი ვერ გაართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განცხადებით, ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო, რომ ადამიანურ რესურსთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, პაატა ჩორგოლეიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ პირადად შეისწავლა მასწავლებელთა პირადი საქმეები და მიიჩნია, რომ ყველა მათგანს გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

საბჭოს წევრმა, თინათინ ცერცვაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, არსებობდა თუ არა დაწესებულებაში „სადამრიგებლო საათის“ პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შარშან ავტორიზაციის გავლის დროს სკოლას ამ საკითხზე პრობლემა არ შექმნია. სკოლას გააჩნდა დამრიგებლის პორტფოლიო, სადაც გაწერილი იყო ყველა თემა და მოცემული იყო ამომწურავი ინფორმაცია.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, განმარტა, რომ ვინაიდან, სადამრიგებლო საათი სკოლას მითითებული ჰქონდა სავალდებულო სახით, შესაბამისად, ეს გულისხმობდა არა გაკვეთილების შემდეგ სადამრიგებლო საათის ჩატარებას, არამედ, ცალკე სავალდებულო გაკვეთილს, რასაც ესაჭიროება შესაბამისი პროგრამა. ამასთან, განსხვავდება ჟურნალში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა და პროგრამის არსებობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამრიგებლის მიერ შევსებულ ჟურნალში არ აღიწერებოდა მხოლოდ მუშაობის შედეგები, იქ ასახული ინფორმაცია მოიცავდა ასევე პროგრამის ნაწილსაც.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ვიზიტის დასრულების შემდეგ, ხომ არ ჰქონია სკოლას მცდელობა, რომ ხარვეზის გამოსწორების თაობაზე დოკუმენტაცია, კერძოდ, პროგრამები ჩაებარებინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსი მცდელობა დაწესებულებას არ ჰქონია.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ რა პროგრამები დამტკიცებული პედ. საბჭოს სხდომაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამები დამტკიცებული იყო პედ. საბჭოს სხდომებზე, თუმცა სხდომის ოქმები დაწესებულების წარმომადგენელს თან არ გააჩნდა.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჩაბარდათ თუ არა მათ ექსპერტთა დასკვნა, სადაც მითითებული იყო ყველა ხარვეზი, მათ შორის ის, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა პროგრამები და მოაწერეს თუ არა მათ ამ დასკვნაზე ხელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჩაბარდა დასკვნა და იგი ეთანხმებოდა დასკნის შინაარსს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხვა გარემოების არსებობის შემთხვევაშიც, კანონის არცოდნა არ ათავისუფლებდა პირს, მისი შესრულების ვალდებულებისაგან.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ იგი გაეცნო წარმოდგენილ პროგრამებს და მისი აზრით, ეს იყო კარგი პროგრამები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ საჭირო მოთხოვნებს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრს, ზვიად მიმინოშვილს, შეახსენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-11 პუნქტი, რომლის თანახმად, „ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ“.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როდისთვის აპირებდა სკოლა ვებგვერდთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაბამისი პირები მუშაობდნენ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე და სწავლის დაწყებამდე ვებგვერდი გამართულად იფუნქციონირებდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, აღნიშნა, რომ მისი აზრით, ეს საკითხის იყო მხედველობაში მისაღები.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ მათ დამატებითი შეკითხვები.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ აღარ ჰქონდათ საკითხის ირგვლივ შეკითხვები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმათა საბჭოს თხოვნით, საბჭოს მხრიდან მხედველობაში ყოფილიყო მიღებული ის გარემოება, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, სკოლამ შეიძინა დამატებითი რაოდენობის მერხები და შეეძლო წარმოედგინა მიღება-ჩაბარების აქტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე, მოსწავლეთა კონტიგენტის განსაზღვრის დროს იგი გაითვალისწინებდა აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭომ იმსჯელა შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ იყო დაკმაყოფილებულია.

საბჭოს წევრმა, თამარ მოსიაშვილმა, აღნიშნა, რომ მისი პირადი მოსაზრებები შესაძლებელია კანონის მოთხოვნებისაგან განსხვავებული ყოფილიყო, მაგრამ დაწესებულებამ მხოლოდ დღეს წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამები, რაც ავტორიზაციის დებულების თანახმად, ვერ მიიღებოდა მხედველობაში, ასევე, არსებობდა ვებგვერდის პრობლემაც, შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 2
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404903734) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

21 საათსა და 00 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21 საათსა და 17 წუთზე.

4. შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - ქართულ-ამერიკულ სკოლა. Georgian-American School-ში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 07 აგვისტოს №251 ბრძანების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ქ. თბილისში, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ში 2013 წლის 12 და 13 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ბოტკოველი (ჯგუფის თავმჯდომარე); ნინო ჟვანია (წევრი); იანინა გიგიბერია (წევრი).

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი, ჩიხი I, №6. სკოლა განთავსებულია 420.00 კვ.მ. მიწის ფართობზე მდებარე ხუთსართულიან შენობა-ნაგებობაში, რომლის საერთო ფართი შეადგენს 1754.66 კვ.მ.-ს.

1.2 სკოლის 12 საკლასო ოთახი აღჭურვილია 200 ინდივიდუალური მერხით და სკამით, შესაბამისი რაოდენობის დაფებით და კარადებით. სკოლას აქვს აგრეთვე ბიბლიოთეკა, მათემატიკის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, უცხო ენების კაბინეტი, კათედრების სამუშაო კაბინეტი, ინფორმატიკის კაბინეტი, 2 სადისკუსიო კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო და ადმინისტრაციის კაბინეტი.

1.3 სკოლას აქვს დარბაზი სპორტული ცეკვებისთვის და გამამხნევებელი ვარჯიშებისთვის. სპორტის ერთ-ერთ სახეობად არჩეულია ასევე ჭადრაკი, რომელიც საკლასო ოთახებში ჩატარდება, ხოლო ცურვის გაკვეთილებისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება საცურაო კომპლექს „პეგასთან".

1.4 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საინვენტარო წიგნის მიხედვით შეადგენს 531 ერთეულს. შემუშავებულია ბიბლიოთეკის სახელმძღვანელო და სამუშაო დოკუმენტები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი აღჭურვილია სველი წერტილით, გამწოვით, და შესაბამისი ლაბორატორიებით.

1.5 ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება უწყვეტად, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის სკოლას აქვს გენერატორი. შენობის გათბობა

მოხდება ბუნებრივი აირის ცენტრალურ გათბობის მეშვეობით. დაწესებულებაში განთავსებულია კეთილმოწყობილი 12 სველი წერტილი.

1.6 სსსმ მოსწავლეთა გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნება მოძრავი პანდუსების მეშვეობით. შენობის ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეთათვის.

1.7 სკოლას აქვს ინტერნეტის ქსელში ჩართული 21 კომპიუტერი, მათ შორის 13 ინფორმატიკის კაბინეტში, 2 პრინტერი. სკოლის ვებგვერდია www.gajs.ge.

1.8 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას საკუთრებაში აქვს 5 ცალი ცეცხლმაქრი. შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის 2 თანამშრომელი.

1.9 სკოლას აქვს, როგორც შიდა (25), ასევე გარე პერიმეტრის (3) კამერები, რომლებიც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

1.10 სკოლაში შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

1.11 დირექტორის 2013 წლის 20 აპრილის №01/03 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან (2013-2018) გეგმებს. სკოლის განვითარების გეგმები შეესაბამება სკოლის მისიას და ითვალისწინებს როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, ასევე ადამიანური რესურსისა და საგანმანათლებლო პროგრამების მხრივ ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

2. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

2.1 ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში სკოლა გეგმავს განახორციელოს სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია საფეხურების მიხედვით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რიგი საგნების გაღრმავებული სწავლება. ასევე, საქართველოს ისტორიისა და ამერიკის ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის და ამერიკის გეოგრაფიის ინტეგრირებული სწავლება ქართულ-ინგლისურ ენაზე.

2.2 სასწავლო პროგრამები შედგენილია სწავლების თანამედროვე მიდგომების გამოყენებით. სასკოლო სასწავლო გეგმა, სასწავლო პროგრამები, დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამები, ინკლუზიური განათლების კონცეფცია სკოლაში ყველა მოსწავლისათვის სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობს შექმნის.

2.3 სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო და ინკლუზიური განათლების პროგრამა. სკოლა მზად არის სჭიროების შემთხვევაში მოემსახუროს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს.

2.4 სკოლის მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შემუშავებულია მისი მოსწავლეთა მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმები და საშუალებები.

2.5 შემუშავებულია აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგნის 31 კვალიფიციური სპეციალისტი. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ყველა პედაგოგი მაგისტრი ან/და მაგისტრთან გათანაბრებულია, ორ პედაგოგს აქვს დოქტორის ხარისხი. სკოლაში 15 სერთიფიცირებული პედაგოგია. დოკუმენტების და დირექციასთან გასაუბრების თანახმად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების ერთ-ერთი პრიორიტეტი მასწავლებლის პროფესიული წინსვლაა, რომლის მისაღწევადაც იგეგმება პედაგოგთა საჭიროების დადგენა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარება, პედაგოგთა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, შენობა იყო თუ არა დაწესებულების საკუთრებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობას სკოლა ფლობდა 2013 წელს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა იყო 10 წელი.

საბჭოს წევრი, თინათინ ცერცვაძე, დაინტერესდა, თუ რამდენი მოსწავლის განთავსებას გეგმავდა სკოლა ერთ კლასში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის შინაგანაწესის თანახმად, ერთ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენდა 15-ს.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადეგნელს, თუ შეფასების რა მეთოდებს იყენებდა სკოლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა იყენებდა თანამედროვე მეთოდებს; არსებობდა ორდონიანი, ქულობრივი დაგროვებითი სისტემა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, საბჭოს წინაშე აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა ყველა საგნისათვის შედგენილი დებულებები, რომლებიც იყო საკმაოდ გამართული და ნამდვილად, იმსახურებდა მოწონებას.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სად იყო გაწერილი სკოლის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავს საკითხებს არეგულირებდა სკოლის შინაგანაწესი.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება მოსწავლეთა გადაადგილებას ცურვის გაკვეთილებისათვის და გათვალისწინებული იყო თუ რა პროცესის ორგანიზება იმ შემთხვევაში, თუ ყველა კლასი აირჩევდა ცურვის გაკვეთილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა საკუთარი ტრანსპორტი, რომლითაც უზრუნველყოფდა მოსწავლეთა გაადადგილებას. რაც შეეხება სხვადასხვა კლასების მიერ ცურვის გაკვეთილის არჩევას, სკოლას გააჩნდა სამ დონიანი სასწავლო პროგრამა და გათვალისწინებული იყო გაკვეთილების ჩატარება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ამასთან, საცურაო აუზები, მათი სიმაღლე, ისევე როგორც ქლორის შემცველობა წყალში მორგებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივ საჭიროებებს.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს წიგნადი ფონდის შერჩევის დროს გააჩნდა თუ არა სკოლას რაიმე სახის სტრატეგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სკოლა ხელმძღვანელობდა სასწავლო გეგმითა და მასწავლებლის გამოცდილებით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ფუნქციონირებდა თუ რა სკოლის ტერიტორიაზე ბაღი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაღის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო მხოლოდ სკოლის ვებგვერდზე, რეალურად, სკოლას არ გააჩნდა ბაღი. ინფორმაციის განთავსების მიზანი იყო საჭიროების კვლევა, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი მომხმარებელი დარეგისტრირდებოდა ამ განყოფილებაში. წარმომადგენელმა აქვე აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება გადაწყვეტდა ბაღის დაარსებას, ბუნებრივია, ბაღის ფართი გაიმიჯნებოდა სკოლის ფართისაგან, მაგრამ ეს არ მოახდენდა გავლენას სასკოლო ოთახების რაოდენობაზე და შესაბამისად, საფრთხე არ დაემუქრებოდა სკოლის კონტიგენტს.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ მათ დამატებითი შეკითხვები.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ აღარ ჰქონდათ საკითხის ირგვლივ შეკითხვები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404965169) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

5. შპს - ალბიონის (ს/კ: 200072152) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - ალბიონში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის წევრმა, ნინო ბალანჩივაძემ, რომელმაც აღნიშნა, ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები, ამ პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. ამასთან, შეფასდა დაწესებულების მიერ სამივე სტანდარტის მოთხოვნების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

კერძო სკოლა ,,ალბიონი" მდებარეობს თბილისში. მის საკუთრებაშია თემქის XI მიკრო/რაიონის I კვარტალში მდებარე შენობის ორი სართული (ჯამში 308,35 კვ.მ ფართით). ამავე მისამართზე მის სარგებლობაშია N48 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზიც (ფართით- 161,28კვ.მ.//ჯამში 469.63)

თავად სკოლას არ გააჩნია არც სპორტული დარბაზი და არც მოედანი. ამ ეტაპზე სკოლას საიჯარო წესით დაქირავებული აქვს N48 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი (161,28კვ.მ), სადაც სპორტის გაკვეთილების ჩატარებისათვის ყველანაირი პირობაა. სკოლას სპორტის სახეობებიდან არჩეული აქვს ფეხბურთი, მძლეოსნობა და ფრენბურთი. მართალია, იჯარის ხელშკრულების ვადა 2013 წლის 1 ოქტომბერს იწურება, მაგრამ სკოლის დირექტორის განმარტებით, გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული წერილის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, N48 საჯარო სკოლამ გააგრძელოს საიჯარო ხელშეკრულება კერძო სკოლა "ალბიონთან". ყოველივე ეს დასტურდება გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსული წერილით, რომელიც წარმოდგენილია საბჭოს წინაშე დანართის სახით (დანართი N1);

სკოლაში არის 9 საკლასო ოთახი და ერთი კომპიუტერული კლასი. დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი. კერძოდ: სკოლას აქვს 136 ერთადგილიანი მერხი და იმავე რაოდენობის მოსწავლის სკამი, 9 დაფა, 8 კომპიუტერი, 1 პრინტერ-სკანერი (ე.წ.კომბაინი), ჭადრაკის 5 კომპლექტი, 1 სადემონსტრაციო ჭადრაკის დაფა. ამასთანავე, სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი (208 დასახელება, 13800 ლარის ღირებულება) და სხვა საჭირო მატერიალური თუ საგანმანათლებლო რესურსი (კარადები, მასწავლებლის მაგიდები და სკამები, ტელევიზორი, აუდიომაგნიტოფონი).

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. კერძოდ სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტად. არის 5 სველი წერტილი: აქედან - 1 სველი წერტილი მეორე სართულზეა, 1 - განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლისათვის პირველ სართულზე;

უნდა აღინიშნოს, რომ 4 სველი წერტილი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. გოგონებისა და ვაჟებისათვის განკუთვნილ საჭირო ოთახებს აქვთ ერთი საერთო შესასვლელი და ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული. ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა საჭირო ოთახებში საერთო შესასვლელის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებითა და ცენტრალური გათბობით. ამასთანავე, სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო გენერატორი (450 ვატის სიმძლავრით) და დამატებით 15 ელექტროღუმელი.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შეადგენს ჯამში 501-ერთეულს. ბიბლიოთეკაში არის, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისათვის განკუთვნილი გრიფირებული სახელმძღვანელო, ისე მხატვრული და სკოლის პედაგოგებისათვის მეტად საჭირო დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები. სკოლას შექმნილი აქვს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და მუშაობს კვირაში ხუთი დღე 09:00-დან 16:00–საათამდე.

სკოლას შემუშავებული აქვს მოდიფიცირებული სასწავლო ჩარჩო–გეგმა განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, რომელსაც განახორციელებს საჭიროების შემთხვევაში. დამზადებულია პანდუსები, ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე.

სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 7 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი (მე-8 კომპიუტერი ბიბლიოთკაშია. მთლიანობაში სულ აქვს 8 -კომპიუტერი).

შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და შეძენილია 2-ცეცხლმაქრი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქციები.

წესრიგის დაცვის მიზნით გაწერილია პედაგოგთა მორიგეობის განრიგი. სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 1 - სათვალთვალო კამერა, რადგან სკოლას აქვს მხოლოდ ერთი შესასვლელი. შიგა პერიმეტრზე კი 5 -კამერა, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტს. სკოლას ჰყავს დღის დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დროს სკოლის უსაფრთხოებას.

სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება და ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც ეხმარება სკოლას საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვაში. ამასთანავე, დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის სათანადო წესით აღრიცხვა, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

სკოლა "ალბიონი" საზოგადოებასა და მშობლებთან თანამშრომლობის გზით, განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ფიზიკური და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას.

სკოლა სასწავლო პროცესს განახორციელებს დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მათემატიკისა და უცხოური ენების გაძლიერებულ სწავლებას.კერძოდ:

1. მათემატიკას I კლასში დამატებული აქვს 1 საათი
2. ინგლისურს ენას :

- I კლასში დამატებული აქვს 1 საათი;
- III და IV კლასში - 2 საათი;
- II და V- VIII კლასებში - 3 საათი;
- ხოლო IX კლასში - 4 საათი.

მეორე უცხოურ ენად არჩეულია რუსული ენა, რომელიც ნაცვლად VII კლასისა (ესგ. მუხლი 49, პუნქტი 4) ისწავლება IV კლასიდან კვირაში 2 საათის დატვირთვით.

IV – VI კლასებში დამატებული საათები საჭიროებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობას (ესგ. მუხლი 40, პუნქტი 4), თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია სამინისტროსთან შეთანხმება.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი, დამატებითი, არასავალდებულო (ფაკულტატური) საგნის სტატუსით ისწავლება მესამე უცხოური ენაც - გერმანული :

- V-VIII კლასებში კვირაში 3 საათის დატვირთვით;
- ხოლო IX კლასში 2 საათის დატვირთვით

(გერმანულ ენაში მოსწავლეები ფასდებიან ჩათვლა/არ ჩათვლის სისტემით.)

ამასთანავე, სკოლა სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებასაც:

- ჭადრაკს I-დან IX კლასის ჩათვლით კვირაში 1 საათს (მოსწავლეები ფასდებიან ჩათვლა/არ ჩათვლის სისტემით)
- დამატებით სააღმზრდელო მომსახურებას, გახანგრძლივებულ სწავლებას - I-IV კლასების ჩათვლით.

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასის/საგნის სასწავლო პროგრამა, ე.წ. სილაბუსი და თემატური გეგმები. თითოეული პროგრამა შედგება პროგრამის მიზნების,სწავლების მეთოდებისა და წლის ბოლოს მისაღწევი შედეგებისაგან, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებთან.

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა აქვს მზაობა ამგვარი მოსწავლის მიღებისათვის. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების კონცეფცია და მისგან გამომდინარე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/ჩარჩოს განხორციელების მექანიზმები.

პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის იდენტურია.

სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და მომავალი სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვას.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

რაც შეეხება ადამიანურ რესურს, სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.

სულ სკოლის კოლექტივი შედგება 34 თანამშრომლისაგან (26 პედაგოგი, 8 ადმინისტრაციულ–ტექნიკური თანამშრომელი).

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია დასაქმებულთა ფუნქცია–ვალდებულებები. მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

მასწავლებელთა უმრავლესობა მაგისტრია ან მაგისტრთან გათანაბრებული. 4 ბაკალავრია. ჰყავთ პედაგოგიკის მეცნიერებეთა და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები. სკოლაში ამ ეტაპზე არის ორი სერტიფიცირებული მასწავლებელი. ერთ პედაგოგს ჩაბარებული აქვს პროფესიული უნარები.

სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც დამტკიცებულია შინაგანაწესით.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, შემუშავებულია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, შედგენილია პროგრამა, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა ღონისძიება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით.

სკოლის განვითარების ექვსწლიან გეგმაში გათვალისწინებულია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოდიფიკაცია, სწავლების ხარისხის ახალი სტანდარტების დანერგვა, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა-განახლება და სხვა.

სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

ნინო ბალანჩივძემ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა რაოდენობაა 108. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს 26 პედაგოგი. აქედან ერთი აღმზრდელი შეთავსებით ექთანია, რომელიც საგანგებო სიტუაციის დროს სკოლაში არსებულ მობილურ ჯგუფთან ერთად (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ექთანი), უზრუნველყოფს პირველად დახმარებას. მეორე აღმზრდელი შეთავსებით - ბიბლიოთეკარია.

ისტ-ის პედაგოგს აქვს ინფორმაციული მენეჯერის ფუნქცია. ცხრა(9) პედაგოგი პედსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ასრულებს დამრიგებლის მოვალეობას, ოთხი(4) აღმზრდელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა სველი წერტილების გამიჯვნასთან დაკავშირებული ფოტო სურათები.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა რაიმე სხვა დოკუმენტი ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას წარმოსადგენი.

დაწესებულების წარმომადგენლის მანანა ასათიანის განცხადებით სკოლას ჰქონდა დაწყებითი საფეხური, რისი დასრულების შემდეგაც მოსწავლეები ტოვებდნენ სკოლას. მშობლების თხოვნით სკოლამ შემოიღო რუსული ენის სწავლება და შესაბამისად გამონაკლისის დასაშვებად მიმართეს სამინისტროს, საიდანაც პასუხი ჯერ არ იყო მოსული, თუ სამინისტრო თანხმობას არ გასცემდა, სკოლა რუსულ ენას, როგორც არჩევით საგანს შეთავაზებდა მოსწავლეებს და არა სავალდებულოს.

ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ დაადასტურა, რომ სკოლას ამის შესაძლებლობა ქონდა.

ლაშა მკურნალიძემ სთხოვა სკოლის წარმომადგენლებს, რომ აღნიშნული როგორც შუამდგომლობა ისე დაეფიქსირებინა საბჭოს სხდომაზე.

ნოდარ ანგურიძის განმარტებით, სკოლას შეფასების წესი და ცხრილი ექნებოდა შესაცვლელი.

თინათინ ცერცვაძე დაინტერესდა, ასწავლიდნენ თუ არა რუსულ ენას, როგორც სავალდებულო საგანს მოსწავლეებს.

ნოდარ ანგურიძეს, განმარტებით, სასწავლო გეგმა წარმოდგენილი იყო, როგორც 2013/2014 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა, შესაბამისად ჯერ საგანი არ იყო შეთავაზებული.

ლაშა მკურნალიძე დაინტერსდა 48-ე საჯარო სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლას 2 წლით ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება რომლის ვადაც იწურება 2013 წლის 1 ოქტომბერს, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდებოდა 5 წლის ვადით, 2013 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ, თუმცა დაწესებულებას ალტერნატივის სახით სპორტულ კომპლექსთან მაინც ჰქონდა დამატებითი ხელშეკრულება.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, სკოლას რა გარანტია ჰქონდა, რომ ხელშეკრულება კვლავ გაგრძელდებოდა 48-ე საჯარო სკოლასთან, როდესაც აღნიშული შენობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკუთვნოდა.

მანანა ასათიანის განმარტებით მოქმედი ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ შეთანხმებას.

ლაშა მკურნალიძის განმარტებით ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭო გააკეთებდა დათქმას, რომლის მიხედვითაც, ცენტრი 2013 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ შეამოწმებდა, სკოლის მიერ ფიზკულტურის დარბაზით უზრუნველყოფის საკითხს და მოახდენდა შესაბამის რეაგირებას. მიუხედავად, იმისა, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა, მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობას, უმჯობესი იქნებოდა ფაქტი მაინც გადამოწმებულიყო.

თინათინ ცერცვაძე დაინტერესდა 108 ბავშვი რამდენ კლასში იყო გადანაწილებული.

დაწესებულების წარმომადგენლის მანანა ასათიანის განმარტებით, სკოლის 108 მოსწავლე ექვს კლასში იყო გადანაწილებული.

თინათინ ცერცვაძე დაინტერესდა მასწავლებლებს ყავდათ თუ არა შემცვლლები.

დაწესბეულების წარმომადგენლების განმარტებით, გახანგრძლივებულებში იყვნენ შემცვლელები.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა ,,ჯანმრთელობის დაცვის ტექნოლოგიების გამოყენებაში"

პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართის ზომით.

ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა წესდება და შინაგანაწესი. შინაგანაწესი მექანიკურად შედგენილი დოკუმენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა, როდესაც საუბარი იყო იმაზე, რომ დისციპლინური სასჯელი იყო გათვალისწინებული ნულოვან ტოლერანტობაზე.

მანანა ასათიანის განმარტებით, მიმდინარეობდა შინაგანაწესის დამუშავება, ვებ გვერდზე განთავსებული დოკუმენტი არსებითად შეიცვლებოდა.

ზვიად მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი შეიცავდა არასწორ ინფორმაციას.

თინათინ ცერცვაძე დაინტერესდა, იყო თუ არა მშობელი ინფორმირებული რა შემთხვევაში არსებობს ნულოვანი ტოლერანტობა?

მანანა ასათიანმა, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ქცევის წესი ითვალისწინებდა აღნიშნულს.

ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ შესაბამის აქტებში ესეთი ტიპის ხარვეზები უნდა გამოსწორებულიყო და უფრო გააზრებული დოკუმენტი უნდა შექმნილიყო.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რამდენ მოსწავლემდე უნდოდა დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის გაზრდა.

მანან ასათიანმა მოითხოვა 135 მოსწავლემდე კონტიგენტის გაზრდა.

ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ერთ მისამართზე ჰქონდა 308 კვ. მ ფართი და 161 კვ. მ 48-ე საჯარო სკოლის შენობაში.

ნინო ბალანჩიავძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას საერთო ჯამში ჰქონდა 138 მერხი.

თინათინ ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 9 საკლასო ოთახი და გასარკვევი იყო საკლასო ოთახების მოცულობა.

თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა კლასების რაოდენობას ამ შემთვევაში ჯამური ფართი ამ რაოდენობის მოსწავლეების განსაზღვრის შესაძლებლობას ითვალისწინებდა.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა კომპიუტერების რაოდენობით.

მანანა ასათიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 8 კომპიუტერი.

საბჭომ იმსჯელა შპს - ალბიონის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ალბიონისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 135-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ალბიონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200072152) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. შპს - ალბიონს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 135-ით.

სხდომაზე - 22:21 სათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა - 22:28 საათზე.

6. შპს - რეზონანსი-საქართველოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - ალბიონში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, რომელმაც აღნიშნა, ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები, ამ პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. ამასთან, შეფასდა დაწესებულების მიერ სამივე სტანდარტის მოთხოვნების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

გიმნაზია მდებარეობს ქ.ზუგდიდში, ცაიშვილის ქ.№32-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის ფართობია: 5525.00 კვ.მ, ხოლო შენობა-ნაგებობების: N1-550.77კვ.მ, N2 175.61კვ.მ, N3-90.68კვ.მ, N4-45.45კვ.მ, N5-33.87 კვ.მ. ვიზიტის დროს დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. წარმოდგენილი იქნა სარეკონსტრუქციო-მიშენებითი სამუშაოების შემდეგ შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, სადაც შენობის საერთო ფართია 3507,68კვ.მ.წარმოდგენილი პროექტით შენობა ოთხსართულიანია.

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის დებულების მე- 4 მუხლის მოთხოვნებს და კერძოდ:

აკადემიური კორპუსი, რომელიც განთავსებულია შენობის ორ სართულზე ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში უკვე დასრულებულ მდგომარეობაში იყო. ამ კორპუსში განთავსებულია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 14 საკლასო ოთახი, მათ შორის 2 საბუნებისმეტყველო კაბინეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია საფეხურების შესაბამისი 100 ინდივიდუალური და 12 სამადგილიანი მერხი, 136 სკამი, 14 მასწავლებლის მაგიდა დრეკადსაზურგიანი სკამით და საპრეზენტაციო ტრიბუნით. პირველი სართულის ყველა საკლასო ოთახს აქვს საკუთარი ღია სივრცე (ყველა საკლასო ოთახს აქვს მოსაზღვრე ეზო, რომელიც გატიხრულია მომიჯნავე საკლასო ოთახის ეზოდან. ამ სივრცეში საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება სხვადასხვა აქტივობა).

საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისათვის განკუთვნილი კარადები ინდივიდუალური უჯრებით. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, დამონტაჟებულია ორკეცა ზებრა ჟალუზები, რომლის საშუალებითაც ხდება საკლასო ოთახების განათების რეგულირება. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია უახლესი ტექნოლოგიის ცენტრალური გათბობა-ვენტილაციის სისტემები და სახანძრო სიგნალიზაციები. გიმნაზია უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის

სტაბილური, უწყვეტი მიწოდებით.დაწესებულებამ ნიმუშის სახით წარმოადინა ალტერნატიული დენის წყარო (ხელოვნური განათებიის ნათურა, რომელიც დენის გამორთვის შემთხვევაში ავტომატურად ირთვება). მოწესრიგებულია სველი წერტილები, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. გიმნაზიაში არის 6 განყოფილებიანი სველი წერტილები ბიჭების, გოგონებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

გიმნაზიას აქვს ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, შემოქმედებითი ოთახი, დარბაზი და კომპიუტერული კლასი, სადაც ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები (გიმნაზიის დამფუძნებელთან და დირექციის წევრებთან გასაუბრებით, აგრეთვე მშენებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სარემონტო სამუშაოები დასრულებული იქნება.

ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინტერნეტში ჩრთული სენსორული ფართომონიტორიანი კომპიუტერებით. გიმნაზიაში ფუნქციონირებს მშობელთა ოთახი, სადაც დამონტაჟებულია ინტერნეტქსელში ჩართული 14 მონიტორი და მშობელს ონლაინ რეჟიმში შეუძლია თვალყური ადევნოს საგაკვეთილო პროცესს. გიმნაზიას აქვს 12 მაგნიტური დაფა, 10 დიდი ფორმის სენსორული პლანშეტი და 6 კომპიუტერი. სკოლის ვებ-გვერდია: www.gg-school.ge,romelic.

175.61კვ.მ ფართის, ახლადგარემონტებული სპორტული დარბაზი (კალათბურთის ფარებით) აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით.

საბუნებისმეტყველო ლაბორატოიიებისათვის გამოყოფილია 2 კლას-კაბინეტი ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიისათვის, სადაც განთავსებულია 428 დასახელების სადემონსტრაციო უახლესი აპარატურა, ექსპერიმენტალური ნაწილისათვის საჭირო ინვენტარი და სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტს აქვს უახლესი მოდელის გამწოვი კარადა, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას საგაკვეთილო პროცესი უსაფრთხოების ნორმების დაცვით ჩატარდეს. თითეულ კაბინეტში განთავსებულია 6 სამადგილიანი მერხი, სენსორული მონიტორი, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში.

გიმნაზიის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული საევაკუაციო გეგმა, არის ექიმის ოთახი. ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს 2 უმცროსი სერჟანტი 12 საათიანი დაცვის რეჟიმით. გარე პერიმეტრის დაცვას უზრუნველყოფს 2 სტანდარტული ვიდეო კამერა, რომელიც დამონტაჟებულია საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, 8 ვიდეოთვალი დამოტაჟებულია შენობის გარე პერიმეტრზე, შიდა დერეფნებში კი 4 ვიდეოთვალი. შემენილია და იგეგმება მთელ შენობაში 63 ვიდეოთვალის დამონტაჟება.

სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები.

შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია გეგმების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა.

2013-14 სასწავლო წლისთვის შექმნილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გულისხმობს დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობას. დამატებითი

საგნებია: რუსული ენა, ქართული ცეკვა, ჭადრაკი, დრამა, ბავშვის სოციალური და ფინანსური განათლება „აფლატუნი“.

დამატებითი საგნების სტატუსი განსაზღვრულია როგორც ფაკულტატური. წარმოდგენილია ამ საგნების პროგრამები. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ თემატური გეგმები. როგორც დირექციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, სპორტის მასწავლებელს სახლში ჰქონდა წაღებული მისი თემატური გეგმები და ჩვენი ვიზიტის პერიოდში არ იმყოფებოდა საქართველოში. დირექციის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, რომ ისინი საბჭოზე წარმოადგენენ ამ გეგმებს. წარმოდგენილი იყო დამატებითი საგნების და კერძოდ ჭადრაკის, ქართული ცეკვის და ბავშვის სოციალური და ფინანსური განათლება „აფლატუნის“ საგნობრივი პროგრამები თუმცა თემატური გეგმები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესში იყო. შემუშავებული და წარმოდგენილი იყო ასევე სადამრიგებლო პროგრამა.

კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 16 მოსწავლით.

გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელ დოკუმენტებში, როგორიცაა შინაგანაწესი, დებულება და შპს-ს წესდება გათვალისწინებულია სასწავლო გეგმის შემუშავების, შეფასებისა და გადახედვის პროცედურები.

გიმნაზიაში შექმნილია მოსწავლის სააპლიკაციო-სარეგისტრაციო ფორმა, რომელშიც აისახება ინფორმაცია ბავშვის ინტერესების, სასურველი პროგრამების, მომავლის ხედვის, აკადემიური და სოციალური პრობლემების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ. გიმნაზიაში სწავლის მსურველ მშობლებთან ჩატარდა და კვლავაც ჩატარდება ინდივიდუალური გასაუბრება.

ჩამოყალიბებულია სკოლის პედაგოგებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების რეგულარული გაცვლის მექანიზმი, რათა მუდმივად უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა სასწავლო მოლოდინების გათვალისწინება და მათზე რეაგირება სკოლის მასშტაბით.

სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესში ინკლუზიის უზრუნველყოფის სტრატეგიები და მიდგომები.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასაწავლო გეგმას.

სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. შიდა კონტროლის სისტემას შეიმუშავებს დირექტორი და ასახავს მის მიერ გამოცემულ თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში.

ექსპერტების ვიზიტის პერიოდში გიმნაზიას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება 16 პედაგოგთან, რომლებიც შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და რომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სხვა ღონისძიებებთან ერთად ინვესტორის ხელშეწყობით იგეგმება საერთაშორისო კონტაქტების ფარგლებში, მათი გაგზავნა ტრეინინგებზე.

გიმნაზიის მატერიალური თუ ადამიანური რესურსი სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს ვფიქრობ დღეს გიმნაზიის წარმომადგენლები სრულად წარმოგვიდგენენ იმ თემატურ გეგმებს, რომლებიც ჩვენი ვიზიტის პერიოდში დამუშავების პროცესში იყო.

ლაშა მკურნალიძე დიანტერესდა, როდის დასრულდებოდა რემონტი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რემონტი დასრულდებოდა 2-3 თვეში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რატომ გადაწყვიტა სკოლამ მხოლოდ დაწყებითი საფეხურის გახსნა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სკოლას ჰქონდა უფრო მეტი რესურსი, თუმცა ამ ეტაპზე ახორციელებდა მასწავლებლების შერჩევას, შესაბამისი პროგრამების მოსამზადებლად და შესაბამისად სკოლამ არ იჩქარა განაცხადის შემოტანა სხვა საფეხურებზე.

მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ბიბლიოთეკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, ასევე გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი საჯარო ბიბლიოთეკასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იყო მცდელობა შექმნილიყო შესაბამისი გარემო კარგი საბუნებისმეტყველო გიმნაზიის შექმნის, აღნიშნული წარმოადგენდა საინვესტიციო პროექტს.

მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა წიგნების რაოდენობით.

მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში მიმდინარეობდა წიგნების დამატება და ინვენტარიზაცია და შესაბამისად ზუსტი რაოდენობა დასკვნაში არ აისახა.

თინათინ ცერცვაძე დაინტერესდა თემატური გეგმები რატომ არ იყო დამუშავებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სკოლაში პედაგოგები ახალი აყვანილნი იყვნენ და ყველა თემატური გეგმის საბოლოო დასრულება ვერ მოხერხდა.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ თემატური გეგმებიც ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა, ისინი აკმაყოფილებდნენ ავტორიზაციის სტანდარტებს.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა სკოლის უსაფრთხოების საკითხით.

დაწესებულების წარმოამდგენელმა განმარტა, რომ სკოლას ემსახურებოდა დაცვის პოლიცია. დერეფნები კონტროლდება და გაკვეთილები იწერებოდა, რათა მასწავლებლებმა შეძლონ პროცესები გაანალიზება.

ლაშა მკურნალიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რამდენი მოსწავლის მიღება სურდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლს სურდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს - რეზონანსი-საქართველოს ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - რეზონანსი-საქართველოსთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - რეზონანსი - საქართველოს

(საიდენტიფიკაციო კოდი: 220389559) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით. შპს - რეზონანსი - საქართველოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:02 საათზე.

თავმჯდომარე
ლაშა მკურნალძე

მდივანი
თამარ ბრეგვაძე